


# დედაებს

საქართველოს  
ბავშვთა ჯანდაცვის  
სამსახურისთვის



II კლასისათვის





# დედაენა



## II კლასისათვის

მეზვილე ბაგოცაძე

დამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს „დედა ენის“  
მიხედვით შეადგინა ვ ა ლ ე რ ი ა ნ რ ა შ ი შ ვ ი ლ შ ა



გამომცემლობა „განათლება“

თბილისი — 1990



499.962.1 - 8 (075)

81 (075)

81. 2 ГРЯ 72  
6 214



- შ ა ტ ვ რ ე ბ ი: მ. შორჩილაძე  
 დ. ზარაფიშვილი  
 ბ. ქლიბაძე  
 ს. ცინცაძე  
 თ. ხუციშვილი

P — 4306020400 — 017 — 6 — 90  
 M — 602(08) — 89

ISBN 5 — 505 — 00710 —

საქართველოს  
 დროშული  
 ბიბლიოთეკა

© გამომცემლობა „განათლება“ 1982



F 66.260  
3

### „დედა ენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული,  
ოქროსსმიან სიშებად  
გულში ამოხლართული!

დედის ტუტე მეორე,  
სიუფარული ზირველი,  
ჩვენს აკვანს შემომჯდარი  
მგალობელი ფრინველი.



# ბევრზე ბევრი

გოგინას ძალიან უყვარს  
ხილი, ტკბილეული. თუ  
რამეს მოჰყარა თვალი, აღარ  
არის მოსვენება:

— ბები, მომე ვაშლი!  
ბევრი ვაშლი მინდა!

— ბები, მომე თხილი!  
ბევრი, ბევრი თხილი! ბევ-  
რი კანფეტი...

ერთხელ ბებიამ ჩაიხვია  
გოგი კალთაში და დაუწყო  
ბასნი:

— გოგი, არ მომწონს, მაგისთანა თვალხარბი რომ ხარ.  
რა ამბავია, სულ ბევრს და ბევრს გაიძახი, აბა, ვნახოთ, რა  
გაქვს ბევრი!

- თავი ერთია!
- ცხვირი — ერთი!
- ზირი — ერთი!
- შუბლი — ერთი!
- თვალი — ორი!
- ხელი — ორი!
- ფეხი — ორი!

გოგინა ჩაფიქრებული უსმენდა.

— ბები, შენ დაგავიწყდა, რომ თმა მაქვს ბევრზე ბევრი! —  
უთხრა გოგინამ. ბებოს გაუცინა და ბევრი თხილი მისცა.

**?** როგორი ბიჭია გოგია? რატომ გაუცინა ბებიას?




## სკოლისაკენ

მზემ ფანჯარას სსივი სტუორცნა,  
 დილა არის მშენიერი!  
 აბა, ბიჭო, ტანთ ჩავიცვამთ  
 და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!

სამუშაოდ ემურება  
 დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი!  
 აბა, მარდად, ჩვენც წივნებით  
 სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

? როგორი დილაა?  
 საით მოუწოდებს ბავშვი ამხანაგებს?

გამოცანა. ტუეში ხარი შემეზარდა,  
 გამო, გამო, გიმერაო!  
 ნახდის შევლა იქ დაგდო,  
 გამოვარდა მიშველო.



აღწერეთ ეს სურათი.



## კეთილი ძმა

შემოდგომა იყო. ვენახში გლეხი მწიფე მსხალს კრეფდა. სანდრო ვენახის კართან იდგა და უცქეროდა. გლეხმა სანდრო დაინახა, დაუძახა და ერთი დიდი მსხალი შესთავაზა.

სანდროს უნდოდა ჩაეკბინა, მაგრამ უცვებ რაღაც მოაგონდა და შინისაკენ მოკურცხლა. შინ ჰყავდა ავადმყოფი და.

— დედილო, მაიას მსხალი სომ უჭმევა? — ჰკითხა სანდრომ დედას.

— როგორ არა, შეილო, — უთხრა დედამ.

სანდრომ იმავე წამს მიიღბინა თავის დის ლოკინთან, მიცა მაიას მსხალი და სიამოფნებით უცქეროდა, როცა ავადმყოფი პირს იტკბარუნებდა გემრიელი მსხლით.

- ? რა უთავაზა გლეხმა სანდროს?
- რატომ არ შეჭამა სანდრომ მსხალი?
- როგორი ბავშვი ეოფილა სანდრო?



გიჟვარდეს სწავლა, გულმოდგინება,  
შრომა და ჯაფა ნუ დაგზარდება!  
მუდამ განსოვდეს, რომ შენი ცოდნა  
შენსა ქვეყანას გამოადგება.

იფაგ ბეჯითი და გქონდეს სმენა,  
დიდი განძია სწავლის შეძენა,  
მაგრამ ამას გონოვ, ვეფლასე უფრო:  
გულით გიჟვარდეს სამშობლო ენა!

მერწმუნე, შეილო, გამოცდილია:  
თუ საძირკველი დანგრეულია,  
მაშინ კედლების აშენებისთვის  
ყოველი შრომა დაკარგულია.

ანდაზა. უსწავლელი კაცი უტარო ცულიაო.

- ?
- როგორი განძია სწავლა?
  - რისთვის სჭირდება სწავლა და ცოდნა ადამიანს?
  - როგორ გესმით ანდაზის აზრი?

# თხა და გიგო

იყო ერთი წარმაცი გიგო. ერთხელ თქვა: მოდი ერთი, თავს გამოვიჩვენებუთობითაო. გამოვიდა სანლიდან, გამოიტანა წიგნი და გავიდა სოფლის მოედანზე. ჩამოჯდა იქ კუნძუზე, დაიღო წიგნი მუხლზე და შიგ ცქერა დაიწყო, ვითომ, ერთი შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო! წიგნი უკუღმა ედო, არ კითხულობდა და შიგ ტუეილად იცქირებოდა.



მალე ძილი მოერია და თავს ასკილივით აქნევდა. ამ დროს მესობლის თხა ფეხების ბაკუნითა და წვერის ცანცარით ბაკიდან გარეთ გამოვიდა. გიგოს თავის კანტური რომ დაინახა, თხას ეგონა, საჭიდაოდ მიწვევსო, გამოექანა, დაეჯანა რქებით შუბლში, ვირამალა გადატრიალა და ააღრიალა ჩვენი თავმომწონე გიგო.



- ? რისთვის გაიტანა გიგომ წიგნი მოედანზე?
- რატომ ეგონა თხას, გიგო ჭიდაობაში მიწვევსო?
- როგორი ბავშვი უოფილა გიგო?





## ჩვენი მასწავლებელი

შეგვასწავლა ანი, ბანი,  
შეგვაუყვარა დედანა,  
თავს გვევლებს, ფრთებს გვისწორებს,  
რომ თამაზად შევძლოთ ფრენა.

აღმზრდელს გუნდად გარს ვესხვევით  
და გვსურს ვიუთ უფრო კარგი,  
ჩვენი საქმით დავაფანსოთ  
მისი შრომა და ამაგი.



? როგორ გესმით:

მასწავლებელი „ფრთებს გვისწორებს, რომ თამაზად შევძლოთ ფრენა“?

რა სურთ მოსწავლეებს?

## მეგობარი

პატარა გოგამ ბებოსთან მიიღბინა:

—ბებო, ბებო, ბურთი მინდა.

—აგი ახლა კაიტანე ბურთი, — უთხრა ბებიამ.

—იმ ბურთით სოლიკო თამაშობს, — უპასუხა გოგამ.

—უნ არის სოლიკო?

—უნ არის და ჩემი მეგობარია!

—ჰოდა, შვილო, სოლიკო თუ მართლა შენი მეგობარია, ერთი ბურთიც გეყოფათ! — უთხრა ბებიამ.

**?** ბებიას რჩევა მოგეწონათ? რატომ?

## პატარას

აი, ეს მიწა, ბუნება,  
ეს მოქარგული მთა-ბარი,  
ვახები, ხურის უანები —  
ველებზე ოქროს ფაფარი —  
შენია, შენით იცოცხლებს,  
რასაც კი თვალთ განწვდები,

შენ მოგენდობა გულისადა,  
როდესაც დავაჟკაცდები.  
გიუვარდეს შენი ქვეყანა —  
სიმართლის ფუძემდებელი,  
ივია შოთას სამშობლო —  
გონების მადიდებელი.

**?** როგორ გესმით:

„ეს მოქარგული მთა-ბარი“?

„ველებზე ოქროს ფაფარი“?

„სიმართლის ფუძემდებელი“?

„გონების მადიდებელი“?

## სიმღერა მამულზე

ჰაი, დილილმე, დილილმე,  
მთა-ბარი შემოვირბინე;  
მთაში წყარონი მღერიან,  
ბარში მინდორი ბიბინებს.

წყაროსაც დავეწაფები,  
დაგკრეფუ ვარდებს და გვირილებს,  
რა ლამაზი ხარ, მამულა,  
შენი გამწენის ჭირიძე.

როგორ გესმით: „რა ლამაზი ხარ, მამულა?“



# მატარებელი გადაარჩინა



დილიდან წვიმდა. შუადღისას კი ჰირდანირ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მდინარე გლდანულა სმაურით მოდიოდა და ქვეებს მოაგორებდა.

ავჭალის სადგურზე სამგზავრო მატარებელი წასასვლელად ემზადებოდა. უცებ ელმავლის კიბეზე ოფულში გაწეწული ბავშვი აჯარდა.

— მია, არ დამრა მატარებელი, სიდი ინგრევა, სიდი! — ამბობდა ბავშვი და სულს ძლივსდა ითქვამდა.

მატარებელიდან მგზავრები ჩამოვიდნენ.

ბიჭი მათ წინ გაუძღვა. მალე სიღთან მივიდნენ. სიღის ერთი ბურჯისათვის წყალს ძირი გამოეთხარა და იგი გადაწეულიყო.

სალხი გაშეშებული შესცქეროდა ამ სურათს. მათ იგრძნეს, თუ რა უბედურებას გადაარჩინა ბავშვმა ისინი.

— ფოხალ, ბიჭუნა, ფოხალ! — იგრიალა სალხმა და ტაშით დააჯილდოვა ჰატარა ბიჭი.

## გამოცანა.

ოთხი მშა ერთად მირობის, რამდენიც არ უნდა ირბინონ, ერთმანეთს ვერ დაეწევიან.

?

რატომ ადიდა მდინარე?

ვინ შენიშნა მოსალოდნელი საფრთხე?

რა ქნა ბიჭმა? მოგწონთ მისი საქციელი?

— აბა, ბიჭებო, მარჯვენა მხრიდან დავიწყოთ! — თქვა ბრიგადირმა და დიდი კალათა აიღო სელში.

მრავალ ადგილას აშრიალდა ვასი და გლეხები მუშაობას ხალისიანად შეუდგნენ. მზის ამოსვლისას ნამიანი მწიფე მტკვნეები ქარვასავით ბზინავდა. გოდრები მალე გაივსო და ბრიგადირმა სმა ისევ აიძალდა:


— აბა, ვაჟაკცებო, სავსე გოდრები დაცალეთ და ცარიელები მარდად მოგვამუველეთ!

მოედანზე მანქანები იდგა. იქაც ხალისიანი ჩოჩქოლი იყო.

მზე კარგად იყო აწეული, როცა სავსე გოდრებით დატვირთული მანქანები დაიძრნენ და მარნებისაკენ გაემართნენ.

მარნებიდან ქვევრების მრეცხავების ხალისიანი სიმღერა მოისმოდა და საერთო მსიარულებას უერთდებოდა.

**?** როგორ ბზინავდა მწიფე მტკვნეები?  
რას აკეთებდნენ გლეხები?



# რთველი

ენკენისთვე მიიწურა,  
გადაუვითლდა მთა და ველი;  
ღვინობისთვემ მოატანა,  
სოფლად გაჩნდა ვეველები რთველი.

ფაფიფუტობს, მიდი-მიდის  
ვენანისკენ კაცი, ქალი;  
წელს ბუნებამ იზღვავულა,  
კარგი არის მოსავალი.

აღე, სოსო! აღე, კოტე!  
შენ, შალიკო, რადან ელი?  
რანანა გივის მხად აქვს  
ხაწაწინა საკიდელი!

ზეიმობს და მხიარულობს  
ეურმით სავსე საწანაელი;  
აღიღინდა ტკბილის ჩქერით  
თაღარი და ქვევრის ველი.



თქვენი სიტყვებით გადმოცით ამ სიტყვების აზრი:

„წელს ბუნებამ იზღვავულა,  
კარგი არის მოსავალი“.

? გინახავთ რთველი? გადმოცით, როგორ კრეფენ ურემენს?



სოფელში რთუვლა განაღდა.  
მხარული ჟივილ-ხივილი გაისმა  
გიგო ზაზას ვენახშიაღც.

ოთარი ხან ერთ ვაჟთან მიიღ-  
ბუნდა, ხან — მეორესთან. ზატარა კალათაში მწიფე მტევნებს  
ფრთხილად ალაგებდა.

ზაზა გიგო ვაჟებს შორის დადიოდა და მტევნიან ლერ-  
წებს დანით ჭრიდა. ერთი ისეთი ლერწი მოჭრა, სედ ათი  
მტევანი მანც იქნებოდა.

— უჰ, რამხელა აკიდოა, რამხელა! — იძახდა განარებუ-  
ლი ოთარი.

— არა, შვილო, ეკ აკიდო არ არის, ძაგას ჩხა ჰქვია,  
აკიდოს ახლა ავიჭრი! — თქვა ზაზამ და ვაჟის ძირთან ჩაი-  
მუნდა, ორმტევნიანი ლერწი  
ფრთხილად მოჭრა და ოთარს  
გაუწოდა.

? რა განაღდა სოფელში?  
რას შერებოდა ოთარი?  
რა არის აკიდო? ჩხა?

დაწერეთ პირველი ორი კითხვის ზასუსი.





F 66-260  
3



საქართველოს  
ეროვნული  
პედაგოგიკური  
ცენტრი

შეადგინეთ მოთხრობა სურათების მიხედვით.



## მ ს ხ ა ლ ი



ნუგზარი და კახა აივნიდან ეხოს გადასცქეროდნენ. ორივეს უუნწებით მსხალი ეჭირა და აქეთ-იქით აქნევდა. კახა ნუგზარზე ჰატარა იყო. მისი მსხალი უუნწში მოწედა და ეხლში გაგორდა. საიდანღაც გოჭი გამოხტა, დაავლო ზირი კახას მსხალს და მადიანად შეექცა.

— ვაი, ჩემი მსხალი!.. გოჭმა შეჭამა!.. — ატირდა კახა.

— რა გატირებს, ბიჭო! ჰა, ჩემი მსხალი გქონდეს! — უთხრა ნუგზარმა და თავისი მსხალი გაუწოდა.

კახა უფრო აღრიანდა.

— ახლა რაღა გატირებს, ხომ მოგეცი მსხალი! — გაუკვირდა ნუგზარს.

— ჩემი მსხალი რომ არ შეეჭამა გოჭს, ხომ ორი შექნებოდა!

**?** როგორ მოიქცა ნუგზარი?  
მართალი იყო კახა?

## ვაშლი და შაქარა

მაღლა ფოთლებში ელვარებს  
ვაშლი სისხლივით წითელი;  
მას აქეთ-იქით აქანებს  
სიო საამო და ნელი.



დიდი ხანია, შესცქერის  
 მძლავრ ვაშლს ცეცქი შაქარზე,  
 თუ, ნეტავ ერთი მოსწუდესო,  
 ამბობს თვის გულში პატარა.

თითქოს უსმინა ქარმაო,  
 ხე შეარჩინა გრივლით,  
 უნწში მოწვევითა ნაყოფი,  
 მირს მოღის ბზრიალ-  
 ტრიალით.

უმაწილმა ხელი დასტაცა,  
 ქარს მძლავრი უძღვნა გულითა  
 და შინისაკენ მოკურცხლა  
 ადგსილმა სინარულითა.

ანდაზა: ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავისთავს  
 თვითონ შეკამდაო.

? რას ნატრობდა შაქარა?  
 რამ გაასხარა ბავშვი?  
 შეადგინეთ მოთხრობა შემდეგი კითხვების  
 მიხედვით:-  
 როგორი ვაშლი ელვარებდა ფოთლებში?  
 რას ნატრობდა ბავშვი?  
 რა მოხდა?  
 რა ქნა ბავშვმა?





## ეურცქვიტა და ნაბია

დედა კურდღელმა ერთ თავის ბაჭიას ეურცქვიტა დაარქვა, იმის ზატარა დას კი—ნაბია. ეს სახელები ორივესათვის სუღამოჭრილი იყო. ეურცქვიტას ძილშიაც კი აცქვეტილი ჰქონდა ეურები, ნაბია განაბული დაცუნცულებდა.

ჰეტრეს ამათგან მოსვენება არა ჰქონდა. მსუნაგები მისი ბოსტნეულით ზირს იტკბარუნებდნენ.

მეტადრე ეურცქვიტამ გაუჭირა ჰეტრეს საქმე. ას ნაბიჯსე ესმოდა მას ფეხის სმა. უღვაშების ცმაცუნით ატეობინებდა დას და უცბად სადღაც ქრებოდნენ.

ჰეტრემ და მისმა დედაბერმა გადაწუვიტეს, რომ ეთვალთვალათ ქურდებისათვის. ჰეტრე თოფით შეიარაღდა, დედაბერი ეავარჯნით და სიმინდებში ჩაიმაღნენ.

მშენიერი დილა იყო. ნამი მარგალიტით მოსსმოდა ბოსტანს. ეურცქვიტა და ნაბია ბუნქებიდან გამოცუნცულდნენ, შეკრეს კამარა და ჰეტრეს ბოსტანს ესტუმრნენ.

—აბა, ჰე! — წაიხურჩულა დედაბერმა.

იგრიალა თოფმა. ჰეტრემ მხოლოდ თვალი მოჭკრა გაქვეულ ქურდებს.

ეს ამბავი ერთ წამში მოედო კურდღელთა უბანს.

კურდღლები სხვა ბოსტანში გადასახლდნენ.

ან დაზა. კურდღელი ჰატარაა, მაგრამ გაქცევა დიდი იცისო.

- ?** რატომ დაარქვა დედამ ბაჭიებს უურცქვიტა და ნაბია?  
ვის აწუსებდნენ ბაჭიები?  
როგორ მოამორა ჰეტრემ ბაჭიები ბოსტანს?

## შემოდგომის სურათი

დღემ იკლო, ღამე გადიდდა,  
გრილა, გაუვითლდა ტყე-ველი,  
ჩამოსდის სეებს ფოთოლი,  
უვირის ბუ ღამის მთეველი.

დამკენარ-გამხმარა ბაღასი,  
უვალილიც არსად კრიალებს  
და სუნი შემოდგომისა  
მთასა და ბარში ტრიალებს.

თრთვილსა დებს დამ-ღამობითა,  
ნისლი დაცურავს მთაშია,  
ბარში წვიმს, მთებში დათოვა,  
ცხვარ-ძროხას ბეწვი აშლია.





შეადგინეთ მოთხრობა სურათის მიხედვით.



## თ ა ლ გ ა მ ი

ზაზამ თაღვამი დარგო. გაიხარდა თაღვამი დიდზე დიდი.  
ამოღების დროც დადგა. ზაზამ სწია, სწია, ვერ ამოსწია.  
საშველად ბებიას დაუძახა. ბებია ზაზას მოეჭიდა, ზაზა—თაღვამს;  
სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.

ბებიამ გოგონას დაუძახა.

გოგონა ბებიას მოეჭიდა, ბებია—ზაზას, ზაზა—თაღვამს;  
სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.

გოგონამ მურას დაუძახა.

მურა გოგონას მოეჭიდა, გოგონა—ბებიას, ბებია—ზაზას,  
ზაზა—თაღვამს; სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.

მურამ კატას დაუძახა.

კატა მურას მოეჭიდა, მურა—გოგონას, გოგონა—ბებიას,  
ბებია—ზაზას, ზაზა—თაღვამს; სწიეს, სწიეს, ვერ ამოსწიეს.

კატამ თაგვს დაუძახა.



თავი კატას მოეჭიდა, კატა—მურას, მურა—გოგონას,  
გოგონა—ბებიას, ბებია—ზაზას, ზაზა—თალგამს; სწიეს, სწიეს,  
და თალგამი ამოიღეს.

## წიგნი

ბავშვებო! მე რომ მკითხოთ, ვინ არის ქვეყანაზე საუკეთესო მოსახურეო, ვიტყვით — წიგნი.

თქვენ, ალბათ, ეველას გინახავთ სურათი რომელიმე გამოჩენილი მწერლის ან მეცნიერისა, რომლის ირგვლივ აუარება წიგნი მოჩანს... ზოგს გადაშლილიც აქვს წიგნი და კითხულობს. იქნებ თქვით: რატომ წიგნებთან გადაიღო სურათი და არა სურნელოვან ვარდთან? იმიტომ, რომ ვარდის სურნელება მალე ქრება, წიგნისა კი — არასოდეს... იმიტომ, რომ ამ წიგნებიდან მიიღო მან ცოდნა — წიგნის ძვირფასი სურნელება; ამიტომაც არის, რომ ეველას ენაზე აკურია წიგნი — ცოდნის წყაროა.

სწორედ წიგნია ცოდნის საუნჯე, რომელსაც ეველაზე მეტი წონა აქვს, მაგრამ ეველაზე ადვილი სატარებელია. ცოდნას ვერც ვერავინ გასესხებს და ვერც ვერავინ წაგართმევს.

1906 წელს, ბაღდადისას, ვნახე იაკობ გოგებაშვილის „თავდადებულნი ქართველნი“. ეს იყო ჰირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე. გადაჭარბებით არ ვიტყვი, ამ წიგნმა გამხადა მე ჰატრიოტად და თუ გინდ ჰოეტადაც.

ენგურ-ჭოროხ-რიონ-მტკვარი  
და ალაზნის მინდორ-ველი,  
აი მხარე საარაკო —  
საქართველო საუვარელი;  
ათას წლებით გპირულ ბრძოლით  
რომ ქვეყანას აგვირვებდა  
და ეოველმხრივ მოსეულ მტერს  
თავგანწირვით იგერებდა;  
და კვლავ იბრძვის, რომ დაიცვას  
ეროვნება და მამული,  
დაამქაროს თანაც მშობა,  
ერთობა და სიუვარული!  
ვაშა, ვაშა ქვეყნისათვის  
თავდადებულ ქართველ გმირებს,  
საუკუნო დიდებისა  
გვირგვინითა შექობილებს!  
ნამრას ეოფნას როს არჩევენ  
მარად სიკვდილს სასახელოს!  
გამარჯვება გაერთებულ  
თავისუფალ საქართველოს!



# სასაუბრო • ტანსაცმელი



? დასახელებით, რა და რა ტანსაცმელია აქ დახატული?  
რომელი ტანსაცმელია სარჩულიანი?



დაასახელოთ, რა და რა ფეხსაცმელია აქ დასატული!  
დაწერეთ ფეხსაცმლის სახელები!

## ფრინველების გადაფრენა

ჭაერს შემოდგომის სიგრილეში დაჭრა. ფრინველებს მოუსვენრობა დაუტოვოთ.

ისინი სშირად თავს იურთან სეებსე და ჟიჟიჟებენ. მალე თბილი ქვეყნებისაკენ უნდა გაფრინდნენ. იქ მათ საკვები უსვად ექნებათ. აქ კი მწერები გაქრა, ჭირნასული აიღეს.

უველასე ადრე მერცხლები მიფრინავენ. მათ ბუღბული მიჰვეება.

- ? რატომ მიფრინავენ ფრინველები თბილ ქვეყნებში?
- რატომ ვტუობათ მოუსვენრობა?
- საით მიფრინავენ ფრინველები შემოდგომაზე?

## მშენებლობა



— დათო, არ გინდა, მშენებლობა ვითამაშოთ? — მითხრა კოტემ.

— როგორ? — ვკითხე მე.

კოტემ ფანჯარასთან მიმიყვანა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ვამხედდა.

— აი, იქ, ორი დიდი სახლი რომ შენდებ, ხედავ?

— ვხედავ!

— მარჯვნივ რომ სახლს აშენებენ, ჩემია, მარცხნივ რომ აშენებენ — შენი. ახლა ჩვენ მშენებლები ვართ და ვნახოთ, ვინ ვის გაასწრებს!

იმ დღის მერე, სკოლიდან მოვიდოდით თუ არა, კოტე მაშინვე ფანჯარასთან მიდიოდა, ერთი ვნახოთ, სომ არ გაჯობო.

ფანჯრიდან მეც ვიჭეტიტებოდი და მისწროდა, მშენებლებს კედლები უფრო აქმალებინათ, მაგრამ არც ერთი იყო მეტი, არც მეორე...

**?** რა უთხრა დათომ კოტეს?

როგორ „ვეჯიბრებოდნენ“ მშენებლობაში ერთმანეთს დათო და კოტე?

# სანატრელი შვილი

(ხალხური)

ნეტავ, რა დედამ გაგზარდა  
ეგეთი მშვენიერიო.  
ზრდილი, ქველგმირი,<sup>1</sup> მამაცი,  
ბრძენი და გონიერი?!  
გინდება ბრტყელი მხარ-ბეჭი,  
წვრილი, წერწება წელიო,  
ტურფა სახეზე — თვალ-წარბი,  
შავი უღვაში, წვერიო;  
მოძმისთვის თავის გაწირვა, საჭირნახულო დღენიო,  
იარაღნაკიდულობა,<sup>2</sup>  
ცქვიტი, მფრინავი ცხენიო;  
გული ამაუი, ფოლადი,  
მკლავი — მტრებისა მსვრელიო,<sup>3</sup>  
ქვეენის ორგულთა დამსჯელი,  
ხარ მათი სისხლისმსმელიო!  
ნეტავ, რა დედამ გაგზარდა  
ეგეთი მშვენიერიო?  
მოუვარე ღმერთმა გიცოცხლოს  
და გაგიწვიტოს მტერიო!

?

როგორი ვაჟი იქნება ხალხს?  
საიდან ჩანს, რომ ეს ვაჟი ქვეენის ერთგულია?

<sup>1</sup> ქველგმირი — მსუ გმირი.

<sup>2</sup> იარაღნაკიდულობა — იარაღსმსულობა.

<sup>3</sup> მსვრელი — მომხობი.

## მოსიუვარულე შვილი



საბავშვო ბაღში სადილის შემდეგ დეიდა ნატომ ბავშვებს ვაშლები დაურთა. გურამმა ერთ წითელ ვაშლს თვალი შეაფლო და დეიდა ნატოს გაუბედავად სთხოვა, — წითელი ვაშლი მე მომეცითო.

დეიდა ნატომ ვერ გაიგონა მისი თხოვნა. წითელი ვაშლი მისას შესუდა. გურამს ეწეინა და ატირდა.

— რად ტირი, გურამ? — მსრუნველობით შეეკითხა დეიდა ნატო.

— წითელი ვაშლი რატომ მე არ მერგო! — გურამის მაგვირად წამოიძახა მზიამ.

— დეიდა ნატო, ვაშლისთვის კი არა ტირის გურამი, დედა ჰუავს აჯად, — ჩაილაპარაკა ნუნუმი.

მზიას წითელი ვაშლი ჩასაკებუნად ჰქონდა მიტანილი ზირთან, როცა ნუნუს სიტყვები გაიგონა. გოგონამ გურამთან მიიბრუნა, წითელი ვაშლი წინ დაუდო და უთხრა:

— აი, გურამ, შენი იოს!

ბავშვებს ძალიან მოეწონათ მზიას საქციელი.

— ვაშლი შინაცა გვაქვს, მაგრამ დედის მინდა გავანარო! — თქვა განარებულმა გურამმა.

**?** რატომ იტირა გურამმა?  
როგორ მოიქცა მზია?  
როგორი ბავშვი უოფილა გურამი?  
გადმოცით შინაარსი კითხვების მიხედვით.  
დაწერეთ ზირველი ორი კითხვის პასუხი.



# მისაბამი მაგალითი



თამრიკო და მერაბი შინ დედასე ადრე მივიდნენ. გოგონამ მაგიდაზე დაურეცხავი ჭურჭელი დანინასა.

— დედას ვერ მოუსწრია... — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და მაგიდისაკენ გაეშურა, — ალბათ, სამსახურში აგვიანდებოდა. უნდა მივეხმაროთ დედას, — უთხრა მას.

ბავშვებმა წინსაფრები აიფარეს და საქმეს შეუდგნენ. თამრიკომ ჭურჭელი სუფთად დარეცხა, მერაბმა კი ტილო ჩამოიღო და ჭურჭელი დაწმინდა.

ბავშვებმა ვეელაფერი თავის ადგილზე შეინახეს და მაგიდა გადაწმინდეს.

როდესაც დედა სამსახურიდან დაბრუნდა, თამრიკო და მერაბი გაკვეთილებს სწავლობდნენ.

დედამ დიმილით გადახედა მაგიდას და კარადა გამოაღო. დანინასა დარეცხილი ჭურჭელი, გაიღიმა და განარებულმა ორივე შვილს შუბლზე აკოცა.

ანდაზა: კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

?

როგორ დაეხმარნენ შვილები დედას?  
თქვენ როგორ ეხმარებით დედას?



## მსოფლოდ მაშინ დავიჯერებ



თუ სამშობლო მართლა გიყვარს,	ამოუდექ მხარში ბეჯითს,
არა კმარა დაიფიცო, —	არას გარგებს განსე დეომა!
სიუვარული, ერთგულებს	ქარხანაში, ველ-მინდვრებში
საქმით უნდა დამტკიცო!	შენგან თუ რამ ნაკებია, —
ეს საქმე კი — საამაუო —	მსოფლოდ მაშინ დავიჯერებ,
არის გარჯა, არის შრომა;	რომ სამშობლო გუვარებია!

**?** რას თელის პოეტი სამშობლოს სიუვარულად?

## მამალი და მელია

(იგავ-არავი)

ქათმებით გარშემოსვეული მამალი ერდოსე<sup>1</sup> შემომჯდა-  
რიო და იქიდან გადმოიურებოდა.

მელია იქვე ახლომანლო დაცუნცულედა. მამალს თვა-  
ლი შეასწრო, მივიდა ახლოს და შესძახა:

— ჩემო მეგობარო, ახალი ამბავი იცი?

— რა ამბავი? — ჰკითხა მამალმა.

— ისეთ ამბავს გეტყვი, რომ ძალიან გეამოს. დედა-  
მიწასე რაც კი ცხოველია და ფრინველი, წუბაში მცურავი,  
დედამიწასე მოსიარულე თუ ქვემძრომი, ერთხმად ჰირობა  
დადეს: ტებილად, ძმურად ვიცნოვროთო. ფიცს, რასაკვირ-  
ველია, არავინ გატყვს. მერწმუნე, მომენდე და ძირს ჩამოდი  
შენი ქათმებით, მოვეწვიოთ ერთმანეთს მეგობრულად და



ტებილად ვიცხოვროთ, როგორც შეჭფერის ძველ ნაცნობებსა და კარგ მეზობლებს. ჩამოდით ძირს, მე კიდევ სხვა ასალი ამბავი მაქვს სათქმელი. იმის გავონებაზე სომ სინარულით ფრთას ფრთას შემოჰკრავთ!

— შენმა მოტანილმა ამბავმა მართლა ძალიან გამახარა, — უთხრა დინჯად მამალმა.

— მაშ ჩამოდი რალა!

ერთ წუთს დამაცა, — თქვა მამალმა და გზისკენ გაიხედა. — აი, იქ რა მოჩანს?

— რა მოჩანს?

— შორიდან ექვსიოდე ძალღი მორბის ჩვენკენ. უთუოდ მაგ ასალი ამბის სათქმელად მორბიან. აბა, მაშინ იქნება ჩვენი მსიარულება! მე თქვენი ხვევნა-აღერსის მოწმე ვიქნები.

მელიამ ეს გაიგონა თუ არა, ისე მოკურცხლა, რომ დედამიწას ფეხს არც კი ადგამდა.

როგორი აღამიანი უნდა ვიგულისხმოთ მელიას სახით? მამლის სახით?

დაწერეთ შინაარსი!

გამოცანა:

ერთი ვრღო მაქვს, ზამთარ-ზაფხულ ბალახით არის შემოსილი.

1 ვ რ ღ ო — ა) დატყეპნილი შიწის ბრტყელი სახურავი სახლისა თუ სხვა ნაგებობისა, — ბანი; ბ) ბანი შუადეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი, რომელსაც ხარკმლისა და სკვამურის დანიშნულება აქვს.



## დავა

ძროხა, ხარი და ძაღლი ერთმანეთს შეეკამათნენ: რომელი მათგანი უუვარს ჰატრონს უფრო მეტად.

— რასაკვირველია, მე! — ამბობს ხარი. — მე მას მიწას ვუხნავ და ვუფარცხავ, ტყიდან შეშას ვუსიდავ ურმით, გადამაქვს ტვირთი. უნემოდ იგი დაიღუპებოდა.

— არა, ჰატრონს ვეკლავ მეტად მე ვუუვარვარ, — ამბობს ძროხა. — მის თჯანს რმით ვკვებავ.

— სტყუით! — იძხის ძაღლი. — ჰატრონს ვეკლავ მეტად მე ვუუვარვარ. მე მის სახლ-კარს ვდარაჯობ დღისითა და ღამით.

ცხოველების დავას უური მოჰკარ ჰატრონმა და უთხრა:

— ტყუილად ნუ დავობთ, თქვენ — ვეკლა — საჭირო ხართ ჩემთვის.

?

რაზე დაობდნენ ხარი, ძროხა და ძაღლი?

რომელი მათგანი იყო მართალი?

რა უთხრა მათ ჰატრონმა? დამტკიცეთ, რომ ჰატრონი მართალი იყო.

რა წავგიკითხავთ ცხოველთა ერთგულებასზე?

## თენგიზის მანქანა

თენგიზმა მოწოდული ვუთი ძლივს მიათრია მამასთან და უთხრა:

—მამა, თუ გიყვარვარ, ამას თვლები გაუკეთე, სახელურები და დაკარი და კარგი „მანქანა“ მექნება!

მამამ თენგიზს ურადლებს არ მიაქცია, რადგან სახლს აშენებდა და სხვა მომუშავეებთან ერთად ხელოვნებს აწვდიდა აგურს. თენგიზი არ მოეშვა. მამამ უარი ვეღარ უთხრა, შესვენების დროს სადღაც გამოძებნა ძველი თვლები, ისინი ერთმანეთთან ღერძით შეაერთა, ღერძზე ვუთი დაკარა, ვუთზე სახელურები დაამატა და თენგიზს უთხრა: —ასეთი „მანქანა“ გინდა?

—სწორედ ასეთი. რა კარგია! შენ რომ ორთავლათი აგურს ესიღები ხელოვნებთან, სწორედ ისეთია, — ამბობდა გახარებული თენგიზი და ეოველ ნაწილს უსინჯავდა ორთავლას.

—რად გინდა ეს ორთავლა? — შეეკითხა მამა.

—აგურებს ჩავაწყო და ხელოვნებთან მივიტან. მეც დაგეხმარებით სახლის აშენებაში.

თენგიზი ორ ან სამ აგურს ღებდა ორთავლაში და თან მხიარულად გაიძნოდა: გსა მოძევით, ჩემი „მანქანა“ მოდიხო!

?

რა სთხოვა თენგიზმა მამას?  
რისთვის უნდოდა თენგიზს ორთავლა?  
როგორი ბავშვი ეოფილა თენგიზი?  
რა წაგვიკითხავთ ბავშვების პრობლემაზე,  
სიბავშვითა?





## ძალა ერთობაშია

(იგავ-არაქ)

იყო ერთი კაცი, ჰეზუდა ათი ვაჟი. როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მოუხმო შვილებს, მოატანინა ისრები და მაგრად შეაკვრევინა კონაღ. მერე უთხრა: ეს კონა გადატყესო! შვილებმა ვერ გადატყეს.

შემდეგ დააშლევინა ისრების კონა და სთხოვა, ისრები სათითაოდ დაეტყრიათ. ვაჟებმა ადვილად გადატყეს ისრები!

მაშინ მამამ უთხრა: წელან ისრების კონა ვერ გადატყესო, სათითაოდ კი ადვილად დაატყრიეთ. ასე დაგემართებათ ცხოვრებაშიც. თუ შეგობრულად იცხოვრებთ, ძტერი ვერაფერს დაგაკლებთ, ცაღ-ცაღკე კი ადვილად გძლეუთ!

**?** რატომ ვერ გადატყეს ვაჟებმა ისრების კონა?  
რა დარიკება მისცა მამამ შვილებს?  
რას გვასწავლის ეს იგავ-არაქი?



აღწერეთ ეს სურათი.

## იმედით

დედის მანდილი მანდილობს,  
მიხნის მიხნამდე მიუვდით, —  
ალკეთს ლეკვებად  
დაზრდილნო,  
კვლავ და კვლავ თქვენის იმედით!  
არა, ნატვრის ხე არ სმება,  
მზე ისევ მზეობს ღვთის ნებით, —  
მე რომ არ ვიყო ამ ქვეყნად,  
ვიცი, თქვენ მაინც იქნებით!  
თქვენებრ ვინ დამაიმედებს,  
ვინ მახოვნილოს გზა სსნისა, —  
გესარებინოთ, შვილებო,  
თავისუფლება ქართულისა!

**?** ვისზე ამჟამად იმედებს ჰოვტი?

ერთსელ ადამიანის სსეულის ნაწილები წიკილენ. ფესებმა თქვეს: აღარ გვინდა თქვენი ტარება! თუ კარგია, თქვენ თვითონ იარეთო! სელებმა წამოიძახეს: გვეუო ამდენი მუშაობა თქვენთვის! ანლა თქვენ თვითონ იმუშავეთ, თუ კარგია!

ზირმა წაიბუტბუტა: განა სულები ვარ, მუდამ განვათ, გაჭა-  
მოთ. აღარ მინდა თქენთვის საჭმლის ღეჭვა!

თვლებმა თქვეს: მოგვეწინდა თქვენი ამდენი დარბაჯობა,  
აღარ გვინდა თქვენთვის ამდენი ცქერაო!

ეურებმაც სელი აიღეს სმენასე.

ასე წაინსუბნენ ადამიანის სსეულის ნაწილები და შეწევიტ-  
ეს ერთმანეთის სამსასური. მაგრამ რა გამოვიდა? სსეულის  
ეველა ნაწილი დასუსტდა, სსეული ჩამოხმა და სიკვდილსე  
მიდგა. მაშინ მიხვდნენ ნაწილები, რომ ჩსუბით ისინი ერთმა-  
ნეთს დალუპავდნენ. ისეე შერიგდნენ, იწეეს ერთმანეთის დასმა-  
რება და სსეულს უწინდელივით ჯანმრთელობა და ღონე დაუ-  
ბრუნეს.

გამოცანა. ერთ ქარსანაში ოცდაცამეტი მუშაა; მათში ოცდათორმეტი  
მუნჯია და ერთი მოლაპარაკე.

- ?** როგორ იმოქმედა სსეულის ნაწილების ჩსუბმა თითოეულ მათგანსე?  
რას მიხვდნენ ისინი?  
როდის გაჯანსაღდა სსეული?  
რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

## ბუხი და ეტლი

ორი ბუდაური ცხენი ეტლს მიაქროლებდა.

ბუხი გაქანა, ეტლსე დასკუჰდა, ვითომ მე მივარბენინებ ეტლსა და თავმოწონებით მართლა მსილი: — ერთი შემოძხედეთ, რა კორიანტელი დავაყენო!

? როგორ ადამიანს მოგაგონებთ ბუხი?

## ცრუპენტელა

იყო ერთი ცრუპენტელა კაცი. ერთხელ უცხო ქვეყანაში წავიდა. უკან რომ დაბრუნდა, ტყუილი ტრაბახით ვეკლას ეურები გამოუტყდა:

— იქ ისეთი საოცარი რამეები ვნახე, რომ თქვენ აქ სიმარშია ც ვერ ეღიწებებითო.

— განა ასეთი რა ნახე? — ჰკითხეს მესობლებმა.

— აი, მაგალითად, ინდოეთში ვირები სის ტოტებსე არხეინად გადიოდნენ და გამოდიოდნენო.

ამ დროს იქვე, სის ძირში, ვირი ბაღახსა სმოვდა. მესობელმა უთხრა:

— შვილონან, თუ ეც ცოცხალი ტყუილი არ არის, აი ეს ვირი და ეს ხე, აბა, აქაც გავიდესო.

ანდაზა. ტყუილს მოკლე ფეხები აბიარ.

? სად წავიდა ერთხელ ცრუპენტელა?

რას ეურებოდა ხალხს?

რა უთხრა მას მესობელმა?

მესრულდებოდა თუ არა მესობლის ნათქვამი?



შეადგინეთ მოთხრობა სურათის მიხედვით.





## კუდა ხარი და ბუხები

საფხულის ჰამანაქებს იღვა. საქონელი ჩრდილს შეჭყარებოდა. გარს აუარებელი ბუხი ესვია და აწუსებდა. ჰირუტყვები წამდაუწუმ კუდებს იქნევდნენ და იგერიებდნენ აბესარ მწერებს.

ამას ვერ ახერხებდა მსოლოდ ერთი კუდა ხარი, რომელსაც ურიცხვი ბუხი დახვეოდა და ჰებენდა.

თვითონ რომ ვერა გაეწუო რა, ხან ერთ ხართან მივიღოდა, ხან-მეორესთან: ეგების იმათი გრძელი კუდი მეც მომხედეს და ბუხები დამიფრთხოსო.

ხარებმა ჰკითხეს:

— კუდავ, რას დაეხეტებოდა?

— ვერა ხედავთ, ბუზებს გიკვირებთო! — ამაყად უთხრა

კუდამ.

ანდაზა: კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უკვირებდაო.

?

როგორ ხარს ვეძახით კუდა ხარს?

როგორ იკვირებდნენ ხარები ბუზებს?

რატომ მიდიოდა კუდა ხარი სხვა ხარებთან?

როგორ ადამიანს მოგვაგონებს კუდა ხარი?

## ქვეყნარა მამალი

— იცით, ქათმებო, რას გუბუვით,

მეტი რაიმ არ ვთქვამ თავსედა,

ჩემი ბადალი, მითხარით,

ვინ არის ქვეყნარა?

დაფარები ამაყად

და ვუივი მაღალსმინანი,

შიშის ხარსა ვცემ ქვეყნარს

ვაჟკაცი დეხებიანი!

ლამაზიცა ვარ, ბიბილო

მიმიგავს წითელ ლალებსა

კისერი კონტად მიჭირავს

და ვაბრიალებ თვალებსა!



„ეილეიუს“ დასამხებლად

გულიც კი აუუწცულდა,

მკრამ უეცრად ჰაწია

გოშია გამოცუნცულდა.



დაჭეუებ, შეერთა მამალი,  
როგორც ჰატარა შოშია,  
და შერცხვენელმა რაინდმა  
მოკურცხლას საქათმეშია.

გამოცანა. თავსერსა, ბოლონამგალა,  
დაჭეუება თავის ამალა.

? წაიკითხეთ ის ადგილი, სადაც მამლის ტრაბახია გამოსატული.  
საიდან ჩანს, რომ მამალი შოშირა?  
აღწერეთ მამლის გარეგნობა ამ ლექსის მიხედვით.  
დახატეთ შევესარა მამალი ქათმებთან ერთად.

### მელია და გლეხი

გლეხის საქათმეს მელია შეეჩვია და ქათმის სინსილა გაუწვიბა.  
ერთხელ, დილადღრიან, გლეხი მივიდა საქათმის დასათვალი-

ერებლად და კარებში მელიას შეეჩუნა. გლეხმა სტანცა კუდში მელიას ხელი, დაიჭირა და მოსაკლავად კეტი მოუღერა.

— ნუ მომკლავ, გამიშვი, — ევედრებოდა მელია გლეხს, — და ერთ ისეთ სასაცილო ამბავს გეტყვი, რომ, არამც თუ შენ, შენს მამა-მამასაც არ გაუგონოსო.

გლეხმა მელია გაუშვა და უთხრა:

— აბა, შენ იცი, რა ამბავსაც შეტყვიო.

მელია განსეუ გავდა.

— ბევრი სამსახურით ამბავი ვიცი, მაგრამ ამასე უკეთესს რას გეტყვი: მთელი წელიწადია, შენს საქათმეს ვანადგურებ, ერთხელ ხელში ძლივს ჩაგვივარდი და ახლაც ცოცხალი გამიშვიო, — თქვა მელიამ და ტეისაკენ მოკურცხლა.

**გ ა მ ო ც ა ნ ა :** ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია, კარგი ვაჟკაცისათვის ოავს წამომდგომელია. სამჯერ გითხარ მის სახელი, აბა მითხარ, რომელია.

**?** როგორ მოატყუა მელიამ გლეხი?



ს ა ს ა უ ბ რ ო

ს აჭ მ ე ლ ი



დასახელოთ რა და რა საჭმელია დასატული.  
კიდევ რა საჭმელი იცით?

## მოუთმენლობის მსხვერპლი

ივლისის საღამო იყო. სამი დაქანცული მკზავრი სოფელში შევიდა და ცივი წუაროსკენ გაეშურა. პირველი მკზავრი მოუთმენლად მივარდა წუაროს, პირქვე დაეშინა და უინულივით ცივ წუაღს დაეწაუბა, მერე ადგა და იქვე, წუაროს თავსე, წამოწვა.

მეორემაც გული იჯერა წუაროს წელით, მბგრამ კი არ დაჯდა, წუაროს თავსე დაიწოთ სიარული, თუმცა ძლიერ დაღლილი იყო.

მესამემ წუურვიღსა სძლია. ჯერ კარგად დაისვენა და მერე დაღლია წუალი.

პირველ მკზავრს იმავე დამეს ფიღტეგების ანთება დაემართა და სიკვდიღს ძღივს გაღაურჩა, მეორე ცოტა უქეიფოდ შეიქნა, მესამეს კი არა ვნებია რა.

ანდაზები: ეინც მოითმენს, ის მოიგებსო.

სულმოკლე კაცი უტკუოს მენახეგრეაო.

- ?**
- რატომ დაემართა ფიღტეგების ანთება პირველ მკზავრს?
  - რატომ გასდა ავად მეორე?
  - რატომ არ გასდა ავად მესამე?
  - რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „მოუთმენლობის მსხვერპლი“?
  - რას გვასწავღის ვს მოთხრობა?
  - გადაიწერეთ ანდაზა.

# ლომი და თაგვი



ლომს ტყეში ეძინა. თაგვმა ტანსე გადაურბინა. ლომმა გამოიღვიძა და დაიჭირა თაგვი. თაგვმა უთხრა: — გამოიშვი და გაჭირვებაში დაგეხმარებიო. ლომმა გუჯიანად გაიცინა და გაუშვა თაგვი.

ვაჟიდა ხანი. მონადირეებმა ლომი დაიჭირეს და თოკით ხეზე მიანბეს; უნდოდათ, მერე მისუღიფუნენ და ცოცხალი წაეუვანათ. მონადირეები რომ წავიდნენ, ლომმა საშინელი ღრიალი მართო. თავს შემოესმა ლომის ხმა, მიცუცუნდა, გადადრღნა თოკი, გაათავისუფლა ლომი და უთხრა: — განსოვს რომ დამცინე? ახლა სომ ხედავ, რომ ჰატარა თავსაც შესძლებია დასმარება დიდი და ძლიერი ლომისაო.

- ?** რატომ გაუცინა ლომს თაგვის სიტყვებზე?  
რა განსაჯირში ჩავარდა ერთხელ ლომი და როგორ იხსნა ის თაგვმა?  
რა უთხრა თაგვმა ლომს?  
დაწერეთ შესაძე კითხვის პასუხი.

ბიჭი ცხვრებს ამოვებდა. მასლობ-  
ლად კლესები განას მკიდნენ. ბიჭმა  
იფიქრა, მოდი ამ კლესებს შევანო-  
ქოლებო. უცებ ფვირილი მორთო:  
— ვაიმე, ვაიმე, მიშველეთ, მკლებიო!  
კლესები მოცვიფდნენ. ნახეს  
— ტუული იყო.

ასე მოატუა ბიჭმა კლესები მეორედ და მესამედ. მეოთხედ  
მკელი მართლა მოუვარდა ბიჭს. ბიჭმა განაბა ფვირილი: — ხრი-  
ქა, მიშველეთ, მკელიო!

კლესებს ეგონათ — კიდევ გაატუებნო და ეურიც აღარ ათ-  
ხოვეს. მკელი უშიშრად დაურია ცხვრის ფარას და დიდი სარა-  
ლი მიაყენა.



ანდაზები: ტუულის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებნო.  
რაც შოგივა დაუითაო — ეგულა შენი თავითაო.

? გარკვეით ანდაზების ახრი. რა აკავშირებთ ამ ანდაზებს მოთხრო-  
ბასთან?

## ჩ ი ტ ი და ბ ა ვ შ ე ე ბ ი

### ბავშვები

გაბმულხარ, ჩიტო, მახეში? გაჩერდი, ნუღარ ფრთხილობ!  
ჩუნი ხარ, ვერსად წაგვიხვალ, დაგვიმოჩნილდი, რას წვალობ?





ჩიტი

ნეტავი რისთვის გინდივართ,  
ბავშვებო, გენაცვებებით?  
გამძიმეთ, ჩემთვის გაფუფუნდეთ,  
რას გამოძრჩებით წვალებით?

ბავშვები

ვერ შეგველევით, ძალსასო, ავაცდენთ უოველ გასაჭირს,  
სულ შაქრით ჩავიტკბარუნებთ მავ ჰაწაწინა ველს და ჰირს.

ჩიტი

რად მინდა თქვენი შაქარი? არ მიუვარს, ჩემთვის მწარეა,  
მინდორში ვიჭერ ბუზ-ბეჭვლებს, სხვაც ბუერი საკენკარია.

ბავშვები

ტრიალს მინდორში, საწუბლო, გავგეინავს ცივი სამთარი,  
და აქ კი თქვოს გალია შენთვის ახლავუ მზად არი!

ჩიტი

ნუ შიშობთ! გადაფუფუნდები სასამთროდ თბილსა მხარესა,  
ტუფუობაში კი სამოთხეც არ მინდა გულმწუსარესა!

ბავშვები

ოჰ, რომ იცოდეთ, ჩიტუნავ, რარიგად შეგიფარებდით!  
არ მოგაწუენდით, კეთავუა, ნიავს არ მოგაკარებდით!

ჩიტი

ეგ, მეკობრებო, მეც მჯერა, მეფერვით, უეჭველია,  
მაგრამ ეგ თქვენი ალერსი, რა ვქნა, რომ მხანებელია!

გაღია ჩემთვის ციხეა, ეს, ბეშენო, ნუ გავიწყდებათ!  
ტვევდ უოფნა მანუენს, ფესს გავფშეკ და თქვენვე გული დაგწუდებათ.

### ბავშვები

გაუშვეს, უთხრეს:—ჩიტუნა, აწ მოგემართოს ხელიო,  
გაფრინდი, გადაიარე ჭიკჭიკით მთა და ველიო!

? როგორ მოგწონთ ბავშვების საქციელი?  
გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ.

## გარეული ტახი და მელა

(იგავ-არაკი)

ღვას სის მირში ტახი და კბილებს იღესხავს. თავს შეღა  
წაადგა, ჭკითხა: — რას იბასრავ  
მაგ კბილებს? მტერი სომ არ-  
საიდან ჩანს?

— სჯობს, მუდამ მხად იყო,  
თორემ, მტერი რომ კარს მო-  
გადგება, გვიანდა იქნება! — მი-  
უგო ტახმა.

? რისთვის იღესხავს ტახი კბილებს?  
რას გვასწავლის ეს იგავ-არაკი?





შეადგინეთ მოთხრობა სურათის მიხედვით.

# მაცდური მელია და მგელი

(ივანე-არაკი)

მელიამ დაინახა ხაფანგი, რომელშიც ეველი იყო. მონადრამ ეველის გამოღება, მაგრამ თავის შეუოფის შეეშინდა. მიიხედა-მოიხედა და მგელი დაინახა.

— ნათლია ჩემო, — დაუძახა მელიამ მგელს, — აქ მოდი, შენთვის ეველი მაცქვს შენასული!

მსუნაგმა მგელმა მიიღბინა მელიასთან.

— სად არის? — ჰკითხა მგელმა. მელიამ ხაფანგთან მიიღბინა. მგელმა რომ ეველს შეხედა, სულმა წასძლია, ხაფანგი ვერ შეაშინა და ეცა.



თქვენს მტერს, იმას რომ დღე დადგა: ტყაც, — გაისმა და მგელი ხაფანგში გაეზა. მელიამ გამოათრია ეველი და კეძრიელად მიირთვა.

— ვაი, ვაი, ვაი! მიშველე, მელიავ! — დაიღრიალა მგელმა.

— ვაის მამინ ნახავ, როცა ზატრონი მოვა! — ნიშნის მოგებით უთხრა მელიამ და გაშორდა.

ანდაზა. სიფრთხილეს თავი არა სტკიავა.

? რამ შეცდინა მგელი?  
როგორ აღამიანს მოგვაგონებს მელია? მგელი?  
დაწერეთ ამ კითხვების პასუხი.

# საწვავი მელა

(ხალხური)

საწვავი მელა ჩიოდა:  
— არ მომივიდა ძილიან,  
ერთსა საქათმეს მივაგენ,  
გამოვუთხარე ძირიან;



იხვსა, ბატსა და ქათამსა —  
ჟველსა გავუკარი კბილიან;  
უკუ ვიხედე, მომდევნა  
პატრონი — გსირის შვილიან;  
მხარსე გაედო კომბალი,  
გათლილი შინდის ძირიან;  
გადმოქურა, გადმოძიშნივლა,  
ცამდი აუხსნი ტუინიან;  
მაგრამ ტუინს ვილა ჩიოდა,  
ცოლ-შვილი დამრჩა ქერივან;  
ცოლიც ძალე გათხოვდება,  
თბლები დამრჩა წვრილიან;  
თბლებიც დაიწრდებიან,  
თაჟი დავუარე კმირიან.

გამოცანა. საქათმეში მძრომელია,  
ჟველამ ვიცით, რომელია.

?

რას ჩივის მელა?  
რა უფო მელისა ქათმების პატრონმა?  
დასატე: გლეხი მელისა კომბალს ურტყამს.

# ნ ა დ ი რ თ ა მ მ ო ბ ა

(იგავ-არაკი)



მეტად ცივი საშთარი იყო. თოვლიც დიდი მოვიდა. მსე-  
ცებს ცხოვრება გაუჭირდათ.

მშიერი დათვი, მკელი და მელა შეიყარნენ და თათბირობ-  
დნენ:

— ძეგო, ჩვენი საქმე ცუდად არის. სშირად მშივრები ვართ;  
საჭმელს ვერ ვმოულობთ. რატომ? — იკითხა დათვმა.

— სანადიროდ ცალ-ცალკე დავდივართ და იმიტომ! — უპა-  
სუსა მკელმა.

— მაშ, მოდი, დავძობილდეთ, ერთად ვინადიროთ და,  
რაც ვიშოვოთ, მშირად გავიყოთ ხოლმე! — წამოიძახა მელამ.

— ეს კარგია, კარგი! — დაუდასტურა დათვმა.

მკელი, დათვი და მელა დაძობილდნენ და წავიდნენ სანა-  
დიროდ. ბედზე ნახეს დაჭრილი ნუკრი ირმისა, ველი გამოს-  
ჭრეს და ხის ქვეშ დადვეს. მერე გაუოფას შეუდგნენ.

— აბა, მკელო, გაუავი! — უბრძანა დათვმა მშიერ მკელს.

— თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონსა და მეთაურს, ტა-  
ნი მე და ფეხები მელას, — თქვა მკელმა.

ეს არ მოეწონა დათვს, ძაგრად ჩაჭკრა თათი მკელს თავ-  
ში და გაავლო. ნაცემი მკელი ეშუილით განსე გადგა. დათვი  
მიუბრუნდა მელას და უთხრა:

— აბა, ჩემო მელავ, შენ გაუავი.

ცბიერმა მელამ ჰირფერობით წამოიძახა:

— თავი შენ — როგორც ჩვენს მეთაურს, ტანი შენ — რო-  
გორც ჩვენს დიდებულ მუფეს, ფეხებიც შენ — როგორც ჩვენს  
ბატონს.



— უოჩაღ, უოჩაღ, ჩემო ძეგაჲ! ვინ გასწავლას ასეთი ჭკვიანური გაუოჲა? — ჰკითხს დათჲმა.

— შენ ძეგელს ისე ძაგრად ჩაარტევი თაჲში, რომ ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდიო, — მიუგო ძეგამ.

**?** რა გაღაწევიტეს მხეცებმა?  
როგორ გაუო ნანადირევი ძეგელმა? ძეგამ?  
როგორ ადამიანს მოგვაგონებს ძეგელი? ძეგა? დათვი?  
რას გვასწავლის ეს იგაჲ-არაკი?  
დაწერეთ ჰირველი კითხვის ჰასუსი.

## ქურდი და მამალი

ქურდი სტუმრად იყო. მასწინძველი ოჯახისშვილურად დაუსვდა. ქურდმა თაჲისი მინც არ დაიმალა, მასწინძველს მამალი მოჰმარა, კალთაში გამოიხვია და გაიპარა.

პატრონი უკან დაედევნა, დაეწია და მამალი ჰკითხს. ქურდი ეფიცებოდა: არა ვიცი-რო.

კალთიდან კი მამალს ბოლო უჩანდა.

პატრონმა უმასუს: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო!



ანდაზები: ქურდი უწინ დაიფიცებო.  
ქურდს ქუდი ეწვისო.

**?** რატომ უთხრა პატრონმა ქურდს —  
„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო!“?



# მგელი და ძაღლი

(ზღაპარი)



ერთხელ, ღამით, მშიერი, გამსდარი მგელი შესვდა მამლარ, ფუნწულა ძაღლს და შეეხარბა მისი ცხოფრება.

— ჩვენ, — თქვა მგელმა, — გაწამებული ვართ საჭმლისათვის. რამდენი შრომა, რამდენი საშიშროება გადავკაქვს: ორმოცდაათ კილომეტრამდე გავიარებ დღეში და მაინც ვერ ვძლები. შენ კი, აი, როგორი ფუნწულა ხარ. მითხარი, რას აკეთებ, რატომ ჰეფხარ ადამიანებს ასეთ კარგ უოფაში?

— ღამდამობით ესოს ვვარაულობ და სწორედ ამიტომ მაჭმევს ჰატრონი, — მიუგო ძაღლმა.

— ამიტომ გაჭმევს ჰატრონი? — ჰკითხა მგელმა.

ამიტომ, ჩვენთან თუ იმსახურებ, შენც ასევე გაჭმევენ.

— რატომაც არ ვიმსახურებ, — მიუგო მგელმა, — ამ საქმესე იოლი რა იქნება? ახლავე წამოვალ შენს ჰატრონთან, მიმიღებს?

— მიგიღებს.

განარებული მგელი გაჭევა ძაღლს. ესოს რომ მიუხსლოვდნენ, მგელმა შეამჩნია, რომ ძაღლს კისერსე ბაღანი ჰქონდა გაცვენილი.

— ეს რატომ გაქვს? — ჰკითხა მან.

— ისე, — მიუგო ძაღლმა.

— არა, მითხარი!

— დღისით ჯაჭვით მბბამენ ხოლმე და ეს იმისგან მაქვს — უთხრა ძაღლმა.

— მამ, მშვიდობით! სჯობს ვიშიმშილო, მაგრამ თავისუფალი ვიყო! — თქვა მკელმა და სწრაფად გაბრუნდა უკან.

? რა შეხარბა მკელს?  
როგორი ცხოვრება ირჩია მკელმა და რატომ?  
დასატყთ: მკელი და ძაღლი.

## კოჭლი კაცი

ქუჩაში მიდიოდა ჯოხსე დაუბრუნებელი კოჭლი კაცი. უკან მიუყუბოდნენ ბიჭები, დასცინოდნენ და აჯაფრებდნენ. კოჭლი კაცი ჩუბად მიდიოდა და აბუხარ ბიჭებს ხმას არ სცემდა; ეტუბოდა, ბიჭების დასცინვა გულს უკლავდა.

ბიჭებს წინ შემოხვდა მოხუცი კაცი, შეახერხ იხინი და უთხრა:

— მოიცადეთ, ახალგაზრდებო, გინდათ, ვიამბობთ ამ კოჭლი კაცის ამბავს. მე მას ვიცნობ, ჩემი მეზობელია.

ბიჭებმა უური დაუკდეს მოხუცს.

— ეს კაცი ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი და მამაცი ვაჟკაცი იყო. ერთ დღეს ჩვენს მეზობლად დიდი ხანძარი გაჩნდა. ცეცხლმოკიდებულ სახლში დედას ჰაწია შვილი დარჩა. საბრალო დედა ვვიროდა, ვუკლას ემუდარებოდა, რომ ბავშვი გადაერჩინათ. აი, ამ კაცმა მიაყუდა კიბე სახლს და ცეცხლში შევარდა. ცოტა ხნის შემდეგ მესამე სათუელიდან თოკობებული კალათით ჩამოუშვა ბავშვი. თვითონ კიბით ჩამოდიოდა, მაგრამ უკვე ცეცხლი ეკიდებოდა კიბეს და კაცის სიმძიმეს ვულარ გაუძლო. ჩაინგრა კიბე, ეს კაცი ძაღლიდან ძირს გადმოვარდა და ფეხი მოიტყვნა. აი მის შემდეგ ის კოჭლია. აი მისი ამბავი. ახლა

გაეკიდეთ და დასცინეთ კიდევ!

ბიჭები თავჩაღუნული და სმაგა-  
კმენდილი იდგნენ. სოკ მათგანს თვა-  
ლებზე წრემლიც კი მოადგა.

?

რა უამბო ბიჭებს მოსუცმა კოჭლი კა-  
ცის შესახებ?

რა გავლენა მოასდინა ნამბობმა ბი-  
ჭებზე?

გადმოცით ამ მოთხრობის მისეფეთ:

ბავშვი გადარჩინა.



## დაგვიხამთრდა, დაგვიხამთრდა!

შენე ზეზლებს, ფრთათეთრ ზეზლებს,—  
ხეებს ირგულიუ ევლებიან;

ეს თოვლიან, თოვლი მოდის,

განა მართლა ზეზლებიან!

ეს ზამთარი მობრძანდებ

თეთრწვერ და თმაჭალარა,

გუნდამ, ციგამ, თოვლის კაცმა —

უველამ ერთად გაგვანარა!




## დიტოს თოვლის ჰაზა

სამთარია. დიდი თოვლი მოვიდა. ესო, ქუჩა, სანალები სულ გადათეთრდა. ჰატარა დიტოს ეს ძალიან უხარია. მას უყვარს თოვლი. შუბ ესოში დგას, ხელში ჰატარა ნიჩაბი უჭირავს და თოვლს აგროვებს. უნდა, თოვლის ჰაზა გააკეთოს.

გააკეთა კიდევ. თვალების ადგილას ჰაწია ნახშირები ჩაუსვა, ნახშირის ნამცეცებით წარბები და წვერ-უღვაში გაუკეთა, თავსე ქუდი დაახურა და ხელში დიდი ჯოხი მისცა.

დიტოს ძალიან მოსწონდა თავისი თოვლის ჰაზა.

- ? როგორ გააკეთა დიტომ თოვლის ჰაზა?  
აღწერეთ დიტოს თოვლის ჰაზა!  
დასატეხ: თოვლის ჰაზა.



შეადგინეთ მოთხრობა სურათის მიხედვით.



— ნატრობდით და ავისრულდათ ცელქებს გულის სანადელი; ვახუდეთ, თოვლის ფიქვებს დაუფარავს მთა და ველი!— ასე უთხრა დედამ შვილებს: ჰაულეს, ზურაბს, ნინასა, წამოცვივდნენ ჟრიაბულთ, დაუძახეს ფინიასა.

— თოვლი, ბიჭო, ბიჭო, თოვლი!— სინარულით იძახიან, არ დასდევენ მსუსსავ უინვას, იცინიან, მარდად სტიან.

გ ა მ ო ც ა ნ ა: არც იწვის ცეცხლში, არც იძირება წყალში.

? რა ახარა დედამ ბავშვებს?  
როგორ მოიქცნენ ბავშვები?  
როგორ გესმით: „არ დასდევენ მსუსსავ უინვას“?





შეადგინეთ მოთხრობა სურათის მიხედვით.





## ჩვენს კოპწიან ნამდვის სესე

ჩვენს კოპწიან ნამდვის სესე  
ვერცხლი ელავს, ოქრო ბზინავს;  
სასწაღწლოდ თოვლის ჰაჰამ  
უელი ჩაგვიკოკლოწინა.

გვამღერა და გვათამაშა,  
იცინა და ჩვენც გვაცინა;  
როცა ზღაპარს გვიუვებოდა,  
უველან ტებილად ჩაგვეძინა.

ახლა თოვლში ვკოტრიანლობთ,  
დაფსრიალებთ ქარსე სწრაფად;  
უღვანეებში ეღიმება  
განარეულ თოვლის ჰაჰას.

## სათბურში

ერთხელ მია გიორგიმ მსუგავსა და გუნამი ავტობუსით  
ქალაქგარეთ წაიუვანა. ავტობუსმა გაიარა ქალაქის ქუჩები და  
თოვლით გადათეთრებულ მინდორსე გაჩერდა.



ავტობუსიდან ჩამოსულმა ბავშვებმა ჩვეულებრივი ბოსტნის მკვიერ მინის შენობები დაინახეს. მია გიორგიმ ბავშვები შენობაში შეიყვანა.

— უჰ, რა თბილა! ნამდვილი საფსუკლია, — წამოიძახეს ბავშვებმა.

— სწორედ ამიტომ ჰქვია ამ შენობას სათბური, — აუხსნა მია გიორგიმ.

ბავშვებმა დაინახეს ლამაზად აქონრილი ბოსტნეული.

ისინი გულმოდგინედ ათვალიერებდნენ მცენარეებს.

— ზოგი ახლა ისხამს, ზოგი ვეჯვის, ზოგიც შწიფს, სწორედ ისე, როგორც ნამდვილ ბოსტანში! — ამბობენ ბავშვები.

— ესეც ბოსტანია, შეილა, მხოლოდ სამთრის ბოსტანია!

— სათბურს რით ათბობთ, ღუშელი რომ არ ღვას? — იკითხა გურამმა.

— ხედავ ამ რკინის მილებს? მაგაში ცხელი წყალი მოძრავობს, რომელიც დიდი ქვაბიდან მოდის.

მაუვალა და გურამი იქ შევიდნენ, სადაც კიტრი ეთესა, კიტრსაც ისე, როგორც ჰამიდორს, მრავალი ვეჯვილი და ნაყოფი ესხა.

— სათბური უნდა მოვრწუო, — უთხრა მია ბავშვებს და ონკანი გადაატრიალა.

სალამო ხანს კმაყოფილი ბავშვები შინ დაბრუნდნენ, თან ჰატარა კალათით ბოსტნეული მოჰქონდათ.

? რა არის სათბური?  
რამ გააკვირვა გურამი და მაუვალა სათბურში?

## ეზოს მშვენება

ერთხელ ვაჟას მამამ სულ ზაწაწინა ნამვი მოიტანა და ეზოში, სახლის წინ, დარგო.

ვაჟა და ეზოს ახალი ბინადარი ზრდაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ნამვა აჯობა: უფრო სწრაფად იზრდებოდა.

ერთ გვალვიან ზაფხულში ვაჟამ ნამვის ხეს მოწვეწა შეატეო, წიწვები თითქოს დასწვრილებოდა.

— ჩემო კარგო ნამვო, ეს რა მოგსულია? — უთხრა ვაჟამ. სიცხით შეწუხებულ ხეს ჯერ მიწა შემოუბარა, მერე წვლიც დაუსხა. ნამვი ძაღვ გამოცოცხლდა.


ამის შემდეგ წვალს აღარასოდეს აკლებდა ბიჭი.

ერთ დღეს, ზამთარში, ვაჟამ დაუწყო გაკონტაჟება თავის ნამვის ხეს, თუმცა სილამაზე მას ისედაც არ აკლდა. ტოტზე სათამაშო ციუვი დაუბრძანა, ხატულა ჩიტებიც დასხა. ირგვლივ ფერადი ქაღალდის ჯაჭვები და ბრჭყვიალა სათამაშოები შემოაფლო, მანათობლად ჰატარა ელნათურები დაჭკიდა.

ასე მორთულ-მოკაშმულს თეთრ ქურქში გამოწვობილი თოვლის ჰაზა დაუქენა მცველად.

ახალი წელი გათენდა. ლოყებგაწითლებული ვაჟა და მისი ამხანაგები ტრიალებდნენ ცოცხალი ნამვის ხის ირგვლივ, თან ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ.

**?** როგორ უკლიდა ჰატარა ნამვის ხეს ვაჟა?  
სასაღწლოდ როგორ მორთო მან ეს ცოცხალი ნამვის ხე?  
დაწერეთ ჰირველი კითხვის ჰასუსი.  
დახატეთ ნამვის ხე.



აღწერეთ ეს სურათი.



## წერილი ბებიას

ბები, ჩემო ტკბილო ბები,  
 აგრემც გენაცულები,  
 გთხოვ, ძაღვ გაძომიკვანო  
 თეთრი ჩურჩხელები!

სწვა ხილიც არ დაივიწყო:  
 კომში, ვაშლი, მსხლეები,  
 ჩაძიჩი და ლეღვის ჩირი,  
 თხილი და კაკლები!

## კეთილი ამხანაგები

ძველად ერთ სკოლაში ჰატარებდნენ ნინო სწავლობდა. ის ლამაზი გოგონა იყო, მაგრამ ამწარტყუნობდა, წარმაცობდა და ამხანაგებს დასცინობდა. მეტადრე აბუხანდ ჰქვავდა ავღებული ელაში კატო.

ამხანაგებს არ მოსწონდათ ნინოს საქციელი.

ერთხელ ევაზილი გაჩნდა. დედ-მამის დაუდევრობით ნინოს აცრილი არ ჰქონდა. შესვლა ევაზილი და სასე დაუმხინჯა. ბავშვმა დაკარგა სილაძსე, რითაც ამწარტყუნობდა.

მორჩენის შემდეგ ნინოს მშობლები სკოლაში გვანდინენ, მაგრამ გოგონა ცივ უარსე იღვა: სცხვენოდა და ეშინოდა ამხანაგებისა. ბოლოს, როგორც იყო, გაგვანენ სკოლაში. მიდის ნინო და გულში შიშობს: ჩემი ამხანაგები რომ დაკენ-



კილ სახეს დაძინახევენ, მასწარად ამიგდებენ, წინანდელ ჯავრს ამოიფრინან და გულს სულ ჩამითუთქავენო.

შევიდა სკოლაში გაუითრებული და აკანკალებული ნინო, მაგრამ დახეთ მის გაცდებს! ამხანაგებს ნინოს დანახვასე გული სიბრალულით აეესოთ. ისინი ალყრით ანუგეშებდნენ მას. ეველასე მეტ თანაგრძობას კატო უწევდა.

ნინოს გული ამოუჯდა სინარულისაგან და თვალებიდან შეების ცრემლი წასკდა.

ანდაზა. კარგი ამხანაგობა კარგი მშობის დარიაო.

- ? როგორი გარეგნობა ჰქონდა ნინოს? სასიათი?
- რა შემთხვა ნინოს?
- რატომ უძნელდებოდა ნინოს სკოლაში დაბრუნება?
- რატომ წასკდა მას შეების ცრემლები?
- როგორი ამხანაგები ჰყოლია ნინოს?

## ნუ იამაყებ

(ხალხური)

ნუ იამაყებ, თუნდ იუო  
 ცხრა თავი ბაუბაუდევია,  
 ნუ იტყვი, ის რას დამაკლებს,  
 მე ვარო მძლეუთა მძლეუია;  
 გასსოვდეს, კოვსსა ჰაწიას  
 დიდი ზღვა დაუღევია,  
 ალვის ხე ცამდე ასული  
 ჭინჭველას წაუქცევია.

## მამალი და კატა



(ხალხური ზღაპარი)

ერთი მამალი და ერთი კატა დამძობილდნენ. დაიწვეს ერთად ცხოვრება. კატა სანადიროდ ტყეში დადიოდა, მამალი კი შინ რჩებოდა. როცა კატა წასვლას დააპირებდა, მამალს ეუბნებოდა:

— შინ იჯექი, თავი კარში არ გამოყო, თორემ მელია მოგეპარება და შეგჭამსო.

ერთხელ კატა ტყეში წავიდა. მელია ფანჯარასთან მიცუნცულდა და ტკბილად შესძინა:

— ეილეიოო მამალო, ოქროს ბიბილოვანო, მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ღაბაბიანო, ფანჯრიდან გადმომხედე, საკენკი დაგიუარო.

მამალმა თქვა: — მოდი ერთი გავიხედავ, ასე ტკბილად ვინ ღაპარაკობსო. თავი გამოყო, მელიამ ჰირი სტაცა და გაარბენინა. მამალმა საცოდავად მორთო ევირილი:

— წეუულ მელიას მიუეავარ დაბურულისა ტეისკენა, მიმარბენინებს საჩქაროდ შორეულისა მთისკენა, კატავ, ერთგულო ძმობილო, გამოექანე ჩემკენა.

კატამ მოჰკრა უური მამლის ევირილს, გამოეკიდა მელიას, დაეწია, გაზღვებინა მამალი და მოიუკანა შინ.

— გესძის, ჩემო ძმობილო, — უთხრა კატამ, — ხვალ მე უფრო შორს წავალ, მელიას ნულარ დაუჯერებ, თორემ შავ დღეს დაგაუენებს!

წავიდა კატა სანადიროდ. მელია ისევ ფანჯარასთან მი-



ცუნცულდა და ტკბილი ხმით დაიწყო:

— ეიელიუოო მამალო, ოქროს ბიბილოვანო,  
მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ღაბაბიანო!

ფანჯრიდან გადმოძხედე, მარცვლები დაგიუარო.

მამალს სული მისდიოდა მარცვლების დასანახად, მაგრამ თავი შეიმაგრნა. მელიამ უფრო საცდენი სიტყვები მოიკონა და დაიწყო:

ეიელიუოო მამალო, ოქროს ბიბილოვანო,  
მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ღაბაბიანო!

ურმები მიგორავენ, გასდით ფეტვი ვეითელი,  
გადმოფრინდი, აკენკე საჭმელი კემრიელი.

მამალმა ველარ მოითმინა, უნდოდა, თვალით მანაც დაენახა თავისი საუვარელი ფეტვი და გამოჰყო თავი. მელიამ სტაცა ჰირი და გაარბენინა. მამალმა კიდევ საშინელი ვეირილი გააბა:

— წეეულ მელიას მივეავარ დაბურულისა ტუისკენა,  
მიმარბენინებს საჩქაროდ შორეულისა მთისკენა.

კატავ, ერთგულო მმობილო, გამოექანე ჩემკენა.

კატა შორს იყო, მამლის ხმას ძლივს მოჰკრა ცოტათი ეური, გამოუდგა მელიას, როგორც იყო, დაწია, გააგდებინა მამალი და მოიყვანა შინ.

— მამალო, — უთხრა კატამ, — ხვალ მე უფრო შორს უნდა წავიდე, გაუფრთხილდი, არ გაცდინოს მელიამ და თავი არ გამოყო, თორემ რამდენიც არ უნდა იყვირო, მე ველარ გამაგონებ და დაიღუპები.

კატა მეორე დღით ისევ სანადიროდ წავიდა. მელიამ იძროვა და ისევ ფანჯარასთან ტკბილად შემოსძახა:

— ეელიყო მამალო, ოქროს ბიბილოვანო,  
მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ღაბაბიანო!

აგერ მთიდან დაეშვა დიდი გროვა ქათმისა,  
წინამძღოლი არა ჰეავთ, ემინათ ქორისა.

მამალს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ძალიან უნდოდა,  
ცალი თვალთ მანც დაენახა ქათმის გროვა, მაგრამ კატის  
სიტყუები მოაგონდა და თავი შეიმაგრა.

— არა, ახლა არ გაუყოფ თავს, — თქვა მამალმა, —  
როცა მეღია წავა, მაშინ გადავიხედავ.

მეღია მანც კიდევ ცდილობდა, მამალი შეეცდინა, მაგ-  
რამ მამალმა გასძინა:

— ტეუილად ნუ ატუსულხარ, გასწი, დაიკარგე, მე შენ  
ველარ მომატეუებ!

— მე შენთან მოსატეუებელი განა რა მაქვს? — გაკვირ-  
ვებით უთხრა მეღიამ, — გინდ გამოიხედე, გინდ ნუ, მე რა?  
მშვიდობით, შენთვის აღარ მცალია!

მეღია გამოცუნცულდა და იქვე კუთხეში მიიძალა. მა-  
მალს რომ მეღიას ხმა არ ესმოდა, თქვა:

— აბა, ერთი გადავიხედო, ის ეშმაკი მეღია წავიდა, თუ  
აქ არისო?

მამალმა ფანჯარაში გამოჰყო თავი, მეღია უცებ სწვდა  
კისერში და გაიტაცა ტეისკენ. უბედურმა და უგუნურმა მა-  
მალმა ბევრი იევირა, მაგრამ კატას ველარ გაავონა, ძალიან  
შორს იყო წასული.

## ახალი უბანი



✓ სასას მშობლებმა დიდძალ მსივიის რვასართულიან სახლში მიიღეს ბინა. ადრე სასას ძველ თბილისში ცხოვრობდა; ნარი-ჯალას ფერდობზე ძველი ჰატარა სახლები რომ შეფენილან, ერთ-ერთი მათგანი სასასი იყო.

ახალი ბინით განარეებულმა სასამ ხან საწოლ ოთახში შეიწვდა, ხან საშინარეულოსა და საბაზანოში შეიბინა. ბო-ლოს, ძალიან დაიღალა და ტკბილად ჩაეძინა.

დილით მზემ ჰირღაჰირ სასას ოთახში შეიჭვიტა.

— დედა! — იუვირა ახალგაზღვრებულმა სასამ.

— რაო, სასა?

— დედიკო, თბილისში როდის წავალთ?

— შეილო, თბილისში არა ვართ, სადღა უნდა წავიდეთ?

— ბებოსთან, თბილისში.

— სასა, ის ძველი თბილისია, აწი ჩვენ ახალ თბილისში ვიცხოვრებთ. შენედე, აქ სულ ახალი მრავალსართულიანი სახ-ლებია, ფართო ქუჩები, დიდი ეზოები.

— ბებო. რატომ არ გადმოვიდა ჩვენთან?

— ბებომ თავისი ცხოვრება ძველ თბილისში გაატარა. იქაურობა ისე უფერს, რომ ვერ შეეღია.

— საბავშვო ბაღში ისევ იქ უნდა ვიარო?

— არა გენაცვალე, ახალ უბანში სკოლაც ახალი ააშენეს და საბავშვო ბაღიც. აი, იქ უნდა იარო! — უთხრა დედამ და წელი ორსართულიან შენობისაკენ გაიშვირა.

? სად მისცეს ბინა სასას მშობლებს?  
რა იუვირა სასამ, როცა გაიღვიძა?  
რა უთხრა დედამ?

## ცა-ფირუზო

ჩემო დედა საქართველო,  
სიბერემდე შეგვარება  
შენი ტურფა მთა და მდელო  
ვარდ-ევავილით ელვარება.

ჯერ სამთარი არ განულა  
უკვე მოქრის გაზაფხული...  
ეს სომ შენი სამშობლოა  
დედის სახედ დასახული.

უთვალავი, ათასფერი  
ევავილები ჰაწაწინა  
ცხრათვალა მზის მოფერებამ  
გაძალა და გააბრწუნა.

ეს სომ შენი შვილებია  
რომ დაჰხარი დღე და ღამე,  
ცა-ფირუზო, იმედიანს  
შენს ტებილს სახელს ვეთაყვანე.

## ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს  
საოცნებო სერებს, —  
სიძღვრავს რომ არ იცოდეს,  
მანც დაძღვრებს.

ვინც მისწუდება ჩემი მთების  
